



Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC)

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში

სოფლის მეურნეობის პროფილის სახელმწიფო საწარმოების მიმართ არსებული პოლიტიკა ბალტიისპირეთის ქვეყნებში

სტატია მომზადდა პროექტის - სახელმწიფო საწარმოები საქართველოში და მათი ეფექტიანობა; ფოკუსი: სოფლის მეურნეობა - ფარგლებში

პროექტს ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) „გადასახადის გადამხდელთა კავშირთან“ (TPU) ერთად, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) ფარგლებში. ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. სტატია არ გამოხატავს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

მაისი, 2014

შინაარსი

შესავალი.....	3
ლიტვა	4
ლატვია.....	8
ესტონეთი	10
დასკვნა.....	13

შესავალი

სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის გაზრდისა და მათი მართვის სამომავლო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას. ისტორიული მსგავსებისა და ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევაში არჩევანი ბალტიისპირეთის ქვეყნებზე გაკეთდა, ვინაიდან ეს ქვეყნები საქართველოსთვის ბევრი მიმართულებით წარმოადგენენ წარმატებული რეფორმების მაგალითს და გამონაკლისი არც სოფლის მეურნეობა და სახელმწიფო საწარმოებია.

ლიტვის სოფლის მეურნეობაში დაახ. 227 000 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც მშპ-ს 6%-ს ქმნიან. სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი შეადგენს 3.37 მლნ ჰა-ს, საიდანაც სახნავ-სათესია 2.87 მლნ ჰა. ექსპორტის შემადგენელი პროდუქტებია: თევზი, რძე, კარაქი, ყველი და სხვ. მისი 80% რუსეთზე მოდის, ხოლო მთავარი იმპორტიორი ევროკავშირის სხვა ქვეყნები არიან.

ლატვიას ოფიციალური მონაცემებით 1.86 მლნ ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწები გააჩნია, საიდანაც 1.2 მლნ ჰა იხვნება. დარგში დასაქმებულთა რაოდენობა სულ დასაქმებულთა 1.3 %-ს შეადგენს, ხოლო მისი ექსპორტის დიდი ნაწილიც რუსეთში გადის ბოსტნეულის, თევზისა და რძის ნაწარმის სახით.

შედარებით მცირე მასშტაბისაა სოფლის მეურნეობის დარგი **ესტონეთში**, სადაც 945.000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწიდან, სახნავ-სათესია მხოლოდ 632.000 ჰა. აქ კარგად არის განვითარებული მეცხოველეობის დარგი, ხოლო სულ ამ სფეროში 3%-ზე მეტი არაა დასაქმებული. მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, ესტონეთის აგროპროდუქტების ექსპორტის დიდი ნაწილი კვლავაც რუსეთზე მოდის.

სამწუხაროდ, ინტერნეტ-სივრცეში არ მოიძებნება ბევრი ინფორმაცია ბალტიისპირეთის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროფილის საწარმოებთან

მიმართებაში გატარებული რეფორმების შესახებ. ამიტომ, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა თხოვნით მიმართა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მოწოდების შესახებ. მადლიერებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამივე ქვეყნის სამინისტროებში გულისხმიერადმოეკიდნენ ჩვენს თხოვნას და ინფორმაცია მოგვაწოდეს მათ ქვეყნებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ მოწოდებული მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების კუთხით არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ძირითადად, ერთნაირი იყო სამივე ქვეყანაში, თუმცა იყო მცირედი განსხვავებებიც. განვიხილოთ თითოეული ქვეყნის მაგალითი ცალ-ცალკე¹:

ლიტვა

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნახევარ საუკუნეზე მეტი პერიოდით მყოფმა ლიტვამ 1990 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და უარი თქვა გეგმურ ეკონომიკაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ლიტვამ კურსი დასავლური, ევროპული სტილის ეკონომიკის მშენებლობისკენ აიღო, რაც თავისთავად თავისუფალი ბაზრის პრინციპებიდან გამომდინარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების და ქონების პრივატიზაციას გულისხმობდა. მიზნის მისაღწევად ლიტვამ მალევე გამოაცხადა საყოველთაო პრივატიზაციის პროცესი, რომელიც პირველ ეტაპზე ქაოტურად მიმდინარეობდა, თუმცა სწორედ ამ

¹საგულისხმოა, რომ ინფორმაცია შესაძლოა იყოს არასრული, იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის ჯგუფი დაეყრდნო ამ ქვეყნების ოფიციალური სტრუქტურების მიერ კონკრეტულად ჩვენი კვლევის მიზნებისთვის მოწოდებულ ინფორმაციას

პროცესმა უზრუნველყოს აბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე სწრაფი გადასვლის გარდაუვალობა. ლიტვაში სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ორ ძირითად ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპი 1991-1995 წლებში მოიცავდა საყოველთაო პრივატიზაციას საშეღავათო პირობებით, რომლის ფარგლებშიც მომავალი კერძო მესაკუთრეები იხდიდნენ როგორც თანხას, ასევე იღებდნენ ინვესტიციების განხორციელების ვალდებულებას. 1996 წლიდან დაწყებული პრივატიზაციის მეორე ეტაპი შედარებით ლიბერალური იყო და მხოლოდ თანხის გადახდის სანაცვლოდ ანიჭებდა საკუთრების უფლებას კერძო მესაკუთრეს.

ბუნებრივია, პრივატიზაციის და გასხვისების პროცესი ლიტვაში შეეხო სასოფლო-სამეურნეო სექტორსაც. ეს პროცესი რამდენიმე ისეთი საკანონმდებლო აქტის ფარგლებში იყო რეგულირებული როგორც: "კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ", "კანონი სასოფლო სამეურნეო საწარმოების და ქონების პრივატიზაციის შესახებ". პირველ ეტაპზე, 1995 წლამდე სწორედ ამ კანონების შესაბამისად გასხვისდა 1600 სახელმწიფო საწარმო თუ კომპანია². გასხვისების პროცესში თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ ადგილობრივი და უცხოელი კერძო სექტორის წარმომადგენლები. 1995 წლის ივლისის თვიდან, მას შემდეგ, რაც ლიტვის პარლამენტმა მიიღო ახალი "კანონი სახელმწიფო და მუნიციპალურ საწარმოთა და ქონების პრივატიზაციის შესახებ", დაიწყო ახალი პრივატიზაციის ტალღა. შედეგად, კერძო სექტორის მიერ 6000-მდე სასოფლო-სამეურნეო ტიპის კომპანია/საწარმო ჩამოყალიბდა. პრივატიზაციის მეორე ტალღამ და ამ კანონმა ხელი შეუწყო უშუალოდ სოფლის მეურნეობის საწარმოების გამსხვილებას და არა დანაწევრებას.

მიუხედავად ორი მსხვილი საპრივატიზაციო ტალღისა, 2010 წელს ლიტვის სახელმწიფო საკუთრებაში ისევ ფლობდა 13.5 მილიარდი ლიტვური ლიტის (5.3

²მანამდე ეს კომპანიები ცნობილი იყო როგორც კოლმეურნეობები

მილიარდი დოლარი) საბაზრო ღირებულების საწარმოებს. ეს საწარმოები არცთუ მცირე როლს თამაშობდნენ ქვეყნის ეკონომიკაში და შესაბამისად, მნიშვნელოვანიყო უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი, როგორც ლიტველი გადასახადების გადამხდელების ხარჯზე არსებული საწარმოების, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მაღალი დონე. ამ მოტივით, ლიტვამ 2010 წელს დაიწყო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა სწორედ ამ საწარმოების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და ეფექტიანობის ზრდას. რეფორმის ფარგლებში ლიტვის მთავრობის მიერ მოხდა სახელმწიფო საწარმოებისთვის გამჭვირვალობის ახალი სტანდარტების დამტკიცება, რომლიც მკაცრად არეგულირებდა საწარმოების ანგარიშვალდებულების ხარისხს. სტანდარტების მიხედვით, ყველა ასეთმა საწარმომ უნდა მოამზადოს და საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსოს კვარტლური და წლიური ანგარიში საქმიანობისა და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ³. ამ სტანდარტების განხორციელებაზე და დაცვის მონიტორინგზე კონტროლი კი დაევა ლიტვის ეკონომიკის სამინისტროს სპეციალურ ქვეგანყოფილებას. ამავე განყოფილებას მისი საქმიანობის მიმართულებად, სტანდარტების დანერგვის და მონიტორინგის პარალელურად, განესაზღვრა სახელმწიფო საწარმოების რეფორმირება მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით. ლიტვის მთავრობამ 2012 წელს დამატებითი სახელმწიფო საწარმოების შექმნის შეზღუდვის მიზნით გამოსცა ახალი გაიდლაინი, რომელიც მკაცრად განსაზღვრავდა იმ აუცილებელ კრიტერიუმებს, რაც ახალი საწარმოს შექმნის შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილებულიყო⁴:

1. ეფექტიანი და გამჭვირვალე სამეთვალყურეო საბჭო
2. ძლიერი მენეჯმენტი
3. მკაფიო მიზნები და ამოცანები

³<http://vkc.vtf.lt/valdymo-ir-skaidrumo-politika/informacijos-pateikimo-terminai>

⁴http://ec.europa.eu/europe2020/pdf/nd/nrp2013_lithuania_en.pdf

გატარებული რეფორმების და პრივატიზაციის პროცესების, ასევე მიღებული საკანონმდებლო აქტების შედეგად, დღესდღეობით ლიტვაში სოფლის მეურნეობის პროფილის მხოლოდ 19 სახელმწიფო საწარმო არსებობს. ამ საწარმოებიდან არცერთია პროდუქციის მწარმოებელი, მათი უმრავლესობა არის სტანდარტების და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის თუ სურსათის უვნებლობის ხარისხის დაცვის მიზნით შექმნილი სააგენტოების ტიპის საწარმოები. მაგალითისთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ერთ-ერთი საწარმოა "PienoTyrimai", რომელიც არის ქვეყნის მასშტაბით ავტორიზებული რძის ხარისხის კონტროლის სააგენტო. მსგავსი საწარმოების რიცხვს განეკუთვნება "ლიტვის სოფლის მეურნეობის და საკვები პროდუქტების ბაზრების რეგულაციების სააგენტო"⁵, რომელიც 1998 წლიდან ახორციელებს ლიტვაში წარმოებული სოფლის მეურნეობის და კვების პროდუქციის ხარისხის მონიტორინგს. ამავე სააგენტოს მოგვიანებით 2001 წელს დაემატა სპეციალური ქვედანაყოფი, რომელიც ლიტვაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას ახორციელებს. ამ სააგენტოს როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით 2004 წლიდან გაიზარდა, მას შემდეგ, რაც ლიტვა ევროპულ ოჯახს შეუერთდა და შესაბამისად, მის მიერ ნაწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის დახარისხის მონიტორინგის აუცილებლობადადაგა. დღესდღეობით სააგენტო არის "ევროპის სოფლისმეურნეობის საგარანტიო ფონდის"⁶ წინაშე პასუხისმგებელი ლიტვაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის ხარისხის კუთხით.

⁵Lithuanian Agricultural and Food Market Regulation Agency - <http://www.litfood-fair.com/litfood/>

⁶ European Agricultural Guarantee Fund

ისევე როგორც ლიტვაში, ლატვიაშიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიური საპრივატიზაციო პროცესები წარიმართა. ამ პროცესების პარალელურად, ლატვიის პარლამენტმა და მთავრობამ 90-იანი წლების დასაწყისშივე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი მიიღეს და რეგულაციადააწესეს, მათ შორის ისეთების, როგორცაა: "სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და სათევზაო კოლექტივების და ფერმების პრივატიზაციის შესახებ", "სასოფლო სამეურნეო წარმოებების პრივატიზაციის შესახებ", "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრების პრივატიზაციის შესახებ", "ხორცის გადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის შესახებ", "რძის გადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის შესახებ". ამ საკანონმდებლო მექანიზმებზე დაყრდნობით, ლატვიაში მანამდე ლიკვიდირებული იქნა სახელმწიფოს ხელში არსებული სამელიორაციო სისტემების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სერვისის კომპანიები და სხვა აგრარული პროდუქციისმწარმოებელი კომპანიები, ხოლო მათი ქონება გასხვისდა კერძო სექტორზე.

აღსანიშნავია, რომ ლატვიის მთავრობამ დასაწყისშივე მკაცრად ცალსახა მიდგომა აირჩია როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა პროფილის სახელმწიფო საწარმოთა მიმართ და ეს მიდგომა მათ აუცილებელ განკერძოებას გულისხმობდა.

უშუალოდ პრივატიზაციის პროცესი მართული იყო ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული პრივატიზაციის კომისიის მიერ. ეს კომისია ბუნებრივია მოქმედებდა სახელმწიფოს სახელით უშუალოდ სოფლის მეურნეობის სექტორის საწარმოების აქტივების გასხვისების კუთხით. კომისია აქტიურად მუშაობდა წლების განმავლობაში და ახდენდა კონკრეტული საწარმოების აქტივების და ქონების შეფასებას, ხოლო შემდგომში მის პრივატიზაციას. ასევე კომისია ადგენდა შეზღუდვებს და პირობებს კონკრეტული საწარმოს აქტივების და

ქონების გასხვისების დროს. მაგალითად, ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა, რაც კომისიას მომავალი მესაკუთრის მიმართ ჰქონდა, იყო ბიზნეს-გეგმის წარმოდგენა.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების აქტივების და ქონების გასხვისება ფორმდებოდა პრივატიზაციის კომისიასთან დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც მყიდველი იღებდა ვალდებულებას მის მიერ წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა განეხორციელებინა. აღსანიშნავია, რომ ლატვიაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აქტივების გასხვისების პროცესი მიწის რეფორმის პარალელურად მიმდინარეობდა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომითვალისწინებდა, პირველ რიგში, მიწების გადაცემას მათი თავდაპირველი მფლობელების ან/და მათი შთამომავლებისთვის, ხოლო მიწის დანარჩენი რესურსების გასხვისება-გაყიდვას ყველა ყიდვით დაინტერესებულ პირზე გარდა უცხოელებისა. მიწის რეფორმის და პრივატიზაციის პროცესების თანადროულობამ ლატვიაში ხელი შეუწყო კოოპერატივების ჩამოყალიბებას და შედეგად მთლიანი პრივატიზაციის პროცესის შემდგომ, გასხვისებული სასოფლო-სამეურნეო მიწის, სახელმწიფო საწარმოების და მათი ქონების 60% კერძო კოოპერატივების, ხოლო 40% ამ საწარმოების ყოფილი თანამშრომლების საკუთრებაში გადავიდა. აღსანიშნავია, რომ წარმატებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად ლატვიაში დღესდღეობით სახელმწიფო საკუთრებაში თითქმის აღარ არსებობს სოფლის მეურნეობის მწარმოებელი, გადამამუშავებელი ან სერვისის მიმწოდებელი კომპანიები.

ლატვიის მიწის რეფორმას და სოფლის მეურნეობის საწარმოების გასხვისების პროცესსაფუძვლად დაედო 1996 წელს ლატვიის "ეკონომიკის სახელმწიფო ინსტიტუტის" ⁷ დოქტორის ანდრის მიგლავსის მიერ "მსოფლიოს ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციასთან" ⁸ თანამშრომლობით

⁷ Latvian State Institute of Agrarian Economics - <http://www.lvaei.lv/>

⁸ Organization for Economic Co-Operation and Development - <http://www.oecd.org/>

დაწერილი კვლევა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის და მისი ეფექტიანობის შესახებ,სახელწოდებით: "სოფლის მეურნეობის პოლიტიკის მიმოხილვა"⁹

ესტონეთი

ესტონეთში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჯერ კიდევ 1988 წელს ე.წ. "პერესტროიკის" დროს, პოლიტიკური ლიდერები ამზადებდნენ მოსახლეობას გეგმიური ეკონომიკის საბაზრო ეკონომიკით ჩანაცვლებისთვის. ამ ქვეყანამ ჯერ კიდევ 1989 წელს გამოსცა "ფერმერული რეფორმის აქტი"¹⁰, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველი რადიკალური გადაწყვეტილება იყო და სწორედ ამან შეუწყო ხელი პირველად ფერმერების ქცევის ცვლილებას. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ესტონეთმა გაბედა და კოლექტიური მეურნეობებისმიწები საკუთრებაში გადასცა ფერმერებს და მისცა მათ უფლება, გაეერთიანებინათ საკუთარი მიწა მეზობლებთან ერთად. ეს შემთხვევები იყო დასავლური ტიპის კოოპერატივის პირველი ჩანასახი ყოფილ საბჭოთა კავშირში.

დამოუკიდებლობის პირველივე წელს ესტონეთის მთავრობამ ღიად გამოაცხადა თავისუფალი ბაზრის და ფასების ლიბერალიზაციის პოლიტიკა. სისტემური ცვლილებები კი, მათ შორის, საკანონმდებლო დონეზე, 1991 წლიდან დაიწყო სოფლის მეურნეობის საწარმოების და მიწების სრული განკერძოების ჩათვლით, რომელიც 1997 წელს ბოლომდე დასრულდა. პროცესის შემადგენელი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ევროპულ ოჯახში გაწევრიანების იდეა, რომელიც ჯერ კიდევ 1992 წელს დაიბადა და თანდათანობით განვითარდა, პირველ ეტაპზე, ევროპასთან

⁹ Review of Agricultural Policies - <http://goo.gl/SnoA2i>

¹⁰ "Farm Reform Act" - <http://goo.gl/5iSRGt>

გაფორმებული თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში. ამ შეთანხმებას მოჰყვა ესტონეთის ჩართვა "პოლონეთის და უნგრეთის დახმარება ეკონომიკის რესტრუქტურისაციისთვის" ¹¹ პროგრამაში. სწორედ ეს პროგრამა გახდა ევროპის მხრიდან პირველადი დახმარების საშუალება, რომელიც მოგვიანებით იქცა ესტონეთის ევროპულ ოჯახში გაწევრიანების დაჩქარების რეალურ მექანიზმად. 1995 წელს ესტონეთმა მიიღო "სოფლის მეურნეობის ბაზრის რეგულირების აქტი" ¹². ამ აქტის მიზნად განისაზღვრა აუცილებელი სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა. იმავე წლის აგვისტოში ესტონეთის პარლამენტმა მოახდინა ევროკავშირთან დამატებითი შეთანხმების რატიფიცირება, რომლის ფარგლებშიც ესტონეთი იღებდა ვალდებულებას უპირობოდ დაეკმაყოფილებინა ევროკავშირის პოლიტიკის და ყველა არსებული სტანდარტის, მათ შორის სოფლის მეურნეობის ევროპული სტანდარტები. ეს კონკრეტული შეთანხმება მოგვიანებით გადაიზარდა 1998-2003 წლების ესტონეთის ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში. ეს გეგმა სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა ესტონეთში "ევროპული სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სტანდარტების საზომების" ¹³ სრულ და ზედმიწევნით დაცვას.

დღესდღეობით, ესტონეთის მთავრობა არ ფლობს და არ მართავს არცერთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, გარდა მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა, რომლებიც მიზმილია განათლების სახელმწიფო სისტემაზე და მათი უტილიზაცია ხდება სოფლის მეურნეობის პროფილის კვლევითი ინსტიტუტების მიერ.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ესტონეთშიც დაიწყო ისტორიული მესაკუთრეებისთვის ქონების, მათ შორის მიწის დაბრუნების პროცესი, ხოლო ყველა

¹¹"PHARE" - Poland and Hungary Assistance for the Restructuring of the Economy- <http://goo.gl/uUEZVL>

¹²Agricultural Market Regulation Act" - <http://goo.gl/ErJdCw>

¹³ Common Agricultural Policy (CAP) measures- <http://ec.europa.eu/agriculture/>

სხვა სასოფლო-სამეურნეო ქონება სახელმწიფომ საყოველთაო პრივატიზაციის გზით გაასხვისა. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწიდან 60% კერძო მფლობელობაში დაუბრუნდა მათ ისტორიულ მფლობელებს ან მემკვიდრეებს, ხოლო 40%-სახალი მფლობელები გამოუჩნდნენ. ამ პროცესის შედეგად, პირველ ეტაპზე, მეორე მსოფლიო ომამდე არსებული 140 ათასი ფერმერული მეურნეობისგან 60 ათასი მეურნეობა შეიქმნა, ხოლო 15 წლის შემდეგ, ანუ დღევანდელი მდგომარეობით ესტონეთში გამსხვილების შედეგად, 10 ათასამდე ფერმა დარჩა, თუმცა მათ მიერ გამოყენებული მიწის რესურსი არ შემცირებულა.

ასევე საინტერესო შემთხვევაა ყოფილი "ესტონეთის სარწყავი სისტემების და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ტრაქტორების სერვისის კომპანიის" ისტორია. სახელმწიფო ფლობდა 23 რეგიონულ საწარმოს, რომელიც სადრენაჟო, სარწყავი და სამელიორაციო სისტემების სერვისს და ასევე სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას ეწეოდა. მათი საჯარო აუქციონის გზით გაყიდვის შედეგად, დღესდღეობით ამ 23 საწარმოს ბაზაზე ფუნქციონირებს 125 კერძო საწარმო, რომელიც ფერმერებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ემსახურება სამელიორაციო-სადრენაჟო სისტემებითა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. აღნიშნულ პროცესში მონაწილე კერძო სექტორის წარმომადგენლებს მსოფლიო ბანკი შეღავათიანი სესხებით დაეხმარა. მიმდინარე პერიოდისთვის, ქვეყანაში არსებული 1 მილიონი სასოფლო-სამეურნეო ჰექტარი მიწიდან 0,6 მილიონი ჰექტარი ირწყვება. მიუხედავად განკერძოებისა, სახელმწიფო დღემდე ფლობს 5.4 ათასი კილომეტრი სიგრძის სარწყავ და სადრენაჟო სისტემებს მათი სტრატეგიული და საკვანძო დანიშნულებიდან გამომდინარე. ჯამში ესტონეთში სარწყავი და სადრენაჟო სისტემების სიგრძე 38 ათასი კილომეტრია.

მიუხედავად მცირედი განსხვავებებისა, ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის სოფლის მეურნეობის გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდაქმნის პროცესს ჰქონდა ბევრი საერთო მახასიათებელი, რომელთა გათვალისწინება საგულისხმოა საქართველოსთვის, როგორც მსგავსი წარსულის მქონე ქვეყნისთვის. კერძოდ:

- 1. მთავრობის მინიმალური როლი საბაზრო ეკონომიკაში** - როგორც აუცილებლობა,რათა მთავრობამ, ჩაურევლობის გზით, უზრუნველყოს კერძო სექტორის, მათ შორის სოფლის მეურნეობის, დამოუკიდებელი განვითარებისთვის საჭირო გარემო. როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითიდან იკვეთება, უშუალოდ სოფლის მეურნეობის კუთხით, ამ ჭრილში მნიშვნელოვანია რამდენიმე აუცილებელი წინაპირობის შექმნა: საკუთრების დაცვა, სახელმწიფო აქტივების გასხვისების მარტივი და გამჭვირვალე მექანიზმები, ჯანსაღი კონკურენტული გარემო, სექტორის განვითარების მიზანმიმართული პოლიტიკა და წესები.
- 2. მყისიერი მოქმედება** - როგორც სოფლის მეურნეობის წარმატებული გარდაქმნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი -ბალტიისპირეთის ქვეყნების რეალობამ აჩვენა,რომ მსოფლის მეურნეობის პროფილის საწარმოების განკერძოება-გასხვისების პროცესი შესაძლოა აღმოჩნდეს მტკივნეული და შოკურიც კი სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. თუმცა ამ შემთხვევაში წარმატების ხაზი სწორედ გარდაქმნის სისწრაფეზე გადის და ეს კარგად ჩანს ესტონეთის მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ქვეყანაში გარკვეული პრობლემები შეიქმნა არა იმდენად მიწის ან სახელმწიფო საწარმოების გასხვისების კუთხით, არამედ გადამამუშავებელი დარგის განვითარების მიმართულებით, რომელიც დროში შედარებით გაიწელა ინვესტიციების სიმწირის გამო, შემდგომმა პერიოდმა აჩვენა, რომ კერძო საკუთრებას

ალტერნატივა არ აქვს და ადრე თუ გვიან ის დადებით შედეგს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას.

3. **მიწის პრივატიზაცია** - როგორც პროცესი, რომელმაც დროის მოკლე ვადაში უზრუნველყო სამივე ქვეყანაში კოოპერატივების ჩამოყალიბება და მიწების გამსხვილება. აღსანიშნავია, რომ ამ წარმატების მიღწევის მთავარისაფუძველი, გარდა პრივატიზაციის პროცესისა, იყო მიწის რეფორმის კუთხით გატარებული ღონისძიებების პაკეტი. მათ შორის, გაკოტრების კანონმდებლობის დახვეწა და გამარტივება. გაკოტრების გაადვილებულმა პროცესმა უზრუნველყო გაკოტრებული საწარმოების ხელში არსებული აქტივების სწრაფი გასხვისება და კოოპერატივების გამსხვილება.
4. **პრივატიზაციის პროცესის გამჭვირვალობა და სიმარტივე** - სამივე ქვეყანაში მიწისა და სხვა სახის სახელმწიფო ქონების გასხვისების პროცესი იყო დაყვანილი მარტივი პროცედურების დონეზე და რაც მთავარია, უაღრესად გამჭვირვალე. გარკვეული უპირატესობა ენიჭებოდათ კოოპერატივებს და ფერმერულ გაერთიანებებს.
5. **გარდაქმნის პოლიტიკური ფასი** - მიუხედავად იმისა, რომ ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანამ პოლიტიკურად არაპოპულარული გადაწყვეტილება საკმაოდ ერთსულოვნად მიიღო და წარმატებით განახორციელა, საყოველთაო პრივატიზაციის და სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სექტორში უშუალო ჩაურევლობის მკაფიო პოლიტიკას, ბუნებრივია, ჰქონდა თავისი პოლიტიკური ფასიც. ცვლილებებმა საწყის ეტაპზე შედეგად მოიტანა გაზრდილი სტრუქტურული უმუშევრობა და სოფლიდან ხალხის გადინება. თუმცა ურბანიზაციის და მასების უკმაყოფილებას ხელი არ შეუშლია არც ერთი ბალტიისპირული ქვეყნისთვისუკან დაეხიათ აუცილებელი გარდაქმნისგან, რამაც, ქვეყნის სოფლის მეურნეობის და ზოგადად ეკონომიკის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და საბოლოოდ

ევროკავშირთან ბალტიისპირეთის ქვეყნების დაახლოვების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.